



რეკომენდაციები იუსტიციის უმაღლესი სკოლის სამოსამართლო კანდიდატების სტაჟირების პროგრამასთან დაკავშირებით

მომზადებულია ევროპის საბჭოს და იუსტიციის უმაღლესი სკოლის პროექტის „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში

დოკუმენტი შემუშავდა ევროპის საბჭოს უცხოელი და ქართველი ექსპერტების ჩართულობით

უცხოელი ექსპერტი - მოსამართლე ვალერია კოსი; სლოვენის სამოსამართლო სწავლების ცენტრის დირექტორი (2011-2014)

ქართველი ექსპერტები - გამოყენებითი კვლევების კომპანია (ARC)

რეკომენდაციები შემუშავებულია საერთაშორისო დოკუმენტების, ევროპული ქვეყნების საუკეთესო და ადგილობრივ პრაქტიკაზე დაყრდნობით

WWW.HSOJ.GE

2017 წელი

რეკომენდაციები იუსტიციის უმაღლესი სკოლის სამოსამართლო კანდიდატების სტაჟირების პროგრამასთან დაკავშირებით:

1. რეკომენდებულია, რომ უფლებამოსილმა ორგანომ განიხილოს სამოსამართლო კანდიდატების სწავლების ხანგრძლივობის გაზრდა.
2. სტაჟირება ყველა სამოსამართლო კანდიდატებისთვის სავალდებულო უნდა იყოს. სწავლება საკმარისი ხანგრძლივობის უნდა იყოს იმისთვის, რომ მომავალმა მოსამართლეებმა კომპეტენტურად შეასრულონ მათზე დაკისრებული ფუნქციები.
3. სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვროს მინიმუმ ერთიდან ორ წლამდე ვადით. ერთი წელი გამოცდილი კანდიდატებისთვის, და ორი წელი იმ კანდიდატებისთვის, რომლებსაც სასამართლო სფეროში მუშაობის გამოცდილება არ გააჩნიათ¹.
4. სამოსამართლო კანდიდატებმა სტაჟირების პროცესში ინფორმაცია უნდა მიიღონ პირადი უსაფრთხოებისა და მოსამართლის და სასამართლოს პერსონალის ჯანსაღ სამუშაო გარემოსთან დაკავშირებით.
5. სტაჟირების პროგრამა შემუშავებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით. დოკუმენტში უნდა გაიწეროს სტაჟირების მიზნები, მუშაობისა და სწავლების შინაარსი, სამოსამართლო კანდიდატის ფუნქციები და დავალებები, მენტორი მოსამართლეების მოვალეობები, ყოველდღიური და საბოლოო შეფასების ჩატარების მეთოდები.
6. რეკომენდებულია, რომ იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ შეიმუშაოს თითოეული სამოსამართლო კანდიდატის სტაჟირების ჩარჩო პროგრამა, რომელშიც ასახული იქნება ის საკითხები, რომლებიც მენტორმა მოსამართლემ უნდა ასწავლოს სამოსამართლო კანდიდატს (მიზნები, მეთოდები, მუშაობის/ ტრენინგის შინაარსი, სამოსამართლო კანდიდატის მოვალეობები, მენტორი მოსამართლის მოვალეობები, ის, თუ როგორ განხორციელდება ყოველდღიური და საბოლოო შეფასება).

¹ იუსტიციის უმაღლესი სკოლის შენიშვნა: რეკომენდაციები 1,2,3 - რეკომენდაციების გათვალისწინება მოითხოვს საკანონმდებლო ბაზის დარეგულირებას, რაც სცილდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის უფლებამოსილების ფარგლებს.

7. რეკომენდებულია, რომ თითოეულმა მენტორმა მოსამართლემ იუსტიციის უმაღლესი სკოლის ჩარჩო პროგრამის საფუძველზე სამოსამართლო კანდიდატთან ერთად მოამზადოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა.
8. რეკომენდებულია, რომ იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ გადასინჯოს მენტორი მოსამართლის მიერ მსმენელზე დავალებების დაკისრებასთან დაკავშირებული წესები (სტაჟირების კოორდინატორთა საცნობარო დოკუმენტი) ისეთი სახით, რომ სამოსამართლო კანდიდატს სასამართლოში მუშაობის შესაძლებლობა ჰქონდეს².
9. რეკომენდებულია, რომ საწყისი სასწავლო პროგრამისა და სტაჟირების ხანგრძლივობის გაზრდასთან ერთად გათვალისწინებული იყოს სხვა დაწესებულებებში სტაჟირება ორიდან-ოთხ კვირამდე ვადით, რაც სავალდებულო უნდა იყოს.
10. რეკომენდებულია, რომ იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ მენტორი მოსამართლეების ტრენინგის ორგანიზება უზრუნველყოს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა: შეფასება (assessment and evaluation) და ინფორმაციული უკუგება.
11. რეკომენდებულია, რომ იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ შეცვალოს სამოსამართლო კანდიდატების შეფასების წესები. კერძოდ, უნდა დაინერგოს მაფორმირებელი და შემაჯამებელი შეფასება.
12. მაფორმირებელი (formative) შეფასება აღწერილობითი ხასიათის უნდა იყოს და თვეში ერთხელ ჩატარდეს, ხოლო შემაჯამებელი შეფასება აღწერილი ნაწილის გარდა შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს ქულების მინიჭებას. ყველა შეფასება უნდა მიეწოდოს მსმენელს და იუსტიციის უმაღლეს სკოლას. მსმენელს შეფასება წერილობითი და ზეპირი ფორმით უნდა მიეწოდოს. გასაუბრებისას სათანადო ინფორმაციული უკუგება უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

² იუსტიციის უმაღლესი სკოლის შენიშვნა: რეკომენდაცია 8 - იმ შემთხვევაში თუ, აღნიშნული რეკომენდაცია მოიაზრებს სამოსამართლო კანდიდატის მიერ სასამართლოში საქმის განხილვას, აღნიშნული საკითხი საჭიროებს საკანონმდებლო რეგულაციას რათა განისაზღვროს სტაჟირების პროცესში სამოსამართლო კანდიდატის სტატუსი. საკითხი სცილდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის უფლებამოსილების ფარგლებს.

13. რეკომენდებულია, რომ შეფასებაში (მაფორმირებელი და შემაჯამებელი) აისახოს სტაჟორისთვის დაკისრებული დავალებები, დრო რაც მას ამ დავალების შესასრულებლად დასჭირდა და სხვა კრიტერიუმები, რასაც იუსტიციის უმაღლესი სკოლა საჭიროდ მიიჩნევს.
14. რეკომენდებულია, რომ მენტორმა მოსამართლემ შეაფასოს კანდიდატის პირადი თვისებები მოსამართლის პროფესიის მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების შესაბამისად, კერძოდ კი ეთიკის, მოსამართლის საქმიანობისთვის შეუთავსებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის შესახებ პრინციპების გათვალისწინებით (CCJE-ს დასკვნა No 3).
15. რეკომენდებულია, რომ მსმენელებმა შეაფასონ როგორც საკუთარი პროგრესი, ასევე მენტორი მოსამართლეები.
16. რეკომენდებულია, რომ შეფასებები (მენტორისა და მსმენელის) მსმენელის პირად ფაილში იყოს ასახული.
17. რეკომენდებულია, რომ იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ კონკრეტულად განსაზღვროს მენტორი მოსამართლეების კომპეტენციები.
18. რეკომენდებულია, რომ ყველა მენტორ მოსამართლეს ტრენერთა ტრენინგი ჩაუტარდეს (ToT). იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ ტრენინგი უნდა ჩაუტაროს, როგორც ახალ, ასევე გამოცდილ მენტორებსაც.
19. რეკომენდებულია, რომ მენტორი მოსამართლეებისთვის გათვალისწინებული იყოს გარკვეული წახალისება მათი მოტივაციის ასამაღლებლად.
20. რეკომენდებულია, რომ იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ რეგულარული შეხვედრები გამართოს მენტორ მოსამართლეებს შორის გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობის მიზნით.